სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080174750834524

№ 342 31 / იანვარი / 2024 წ.

შპს „გეოინსტრუმენტის“ შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ

შემსყიდველი ორგანიზაცია: სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო“;

გამარტივებული შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების რეკვიზიტები: 09.11.2023, №2023/10/233, CMR230143846;

შესყიდვის ობიექტი: 50400000 – სამედიცინო და ზუსტი საზომი აპარატურის შეკეთება და ტექნიკური მომსახურება;

მიმწოდებელი: შპს „გეოინსტრუმენტი“ (ს/ნ: 404489665);

წერილობითი შეტყობინების საფუძველი: სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულება.

აღწერილობითი ნაწილი

1. ადმინისტრაციული წარმოების დაწყება

1.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2024 წლის 16 იანვარს წარმოდგენილ იქნა სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს“ 2024 წლის 16 იანვრის №9811 წერილობითი შეტყობინება (რეგისტრაციის № 425), რომლითაც სააგენტოს ეცნობა შპს „გეოინსტრუმენტის“ (ს/ნ: 404489665) მიერ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დადებული 2023 წლის 9 ნოემბრის №2023/10/233 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით (CMR230143846) ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების თაობაზე.

1.2. სააგენტომ მიმწოდებელს, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში მის პროფილში მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართის geoinstrumenti@gmail.com მეშვეობით, 2024 წლის 17 იანვრის № 148 წერილით, აცნობა სააგენტოში შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების წარმოდგენის თაობაზე და, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სთხოვა ხსენებულ საქმეზე წერილობითი განმარტების წარმოდგენა. მიმწოდებელს განმარტება არ წარმოუდგენია.

2. შემსყიდველი ორგანიზაციის პოზიცია

შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების თანახმად, მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა 2023 წლის 9 ნოემბრის №2023/10/233 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. ამასთან, გასულია ხელშეკრულების მოქმედების ვადა.

3. მიმწოდებლის პოზიცია

ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში მიმწოდებელს განმარტება არ წარმოუდგენია.

4. სააგენტოს მიერ დადგენილი გარემოებები

4.1. 2023 წლის 9 ნოემბერს, სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსა“ და შპს „გეოინსტრუმენტს“ (ს/ნ: 404489665) შორის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დაიდო № 2023/10/233 სახელმწიფო შესყიდვის

შესახებ ხელშეკრულება (CMR230143846), რომლის თანახმად, მიმწოდებელს 30 კალენდარული დღის ვადაში უნდა გაეწია 2 ერთეული GNSS მიმღებისა და 4 ერთეული UT32 პლანშეტის დიაგნოსტირების/ შეკეთების მომსახურება. ხელშეკრულების ღირებულებად განსაზღვრა 7 685 ლარი, ხოლო მოქმედების ვადად – 2023 წლის 20 დეკემბერი.

4.2. შემსყიდველი ორგანიზაციის 2024 წლის 9 იანვრის № 4765 წერილით ირკვევა, რომ მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, კერძოდ, ვერ უზრუნველყო ინსპექტირების განმახორციელებელი პირებისთვის 2 ერთეული GNSS მიმღების წარდგენა. ამავე წერილით, შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებელს მოუწოდა დაებრუნებინა 2 ერთეული GNSS მიმღები.

4.3. მიმწოდებელმა 2024 წლის 10 იანვრის წერილით შემსყიდველ ორგანიზაციას აცნობა, რომ 2 ერთეული GNSS მიმღები შესაკეთებლად გაგზავნილი იყო იტალიაში, თუმცა შობა-ახალი წლისა და ფრენის გრაფიკის ცვლილების გამო, დროულად ვერ მოხერხდა მისი უკან დაბრუნება.

4.4. საქმეში არსებული 2024 წლის 17 იანვრის ინსპექტირების აქტით ირკვევა, რომ ინსპექტირების განმახორციელებელი პირებისთვის მიმწოდებლის მიერ 2024 წლის 12 იანვარს წარდგენილი 2 ერთეული შეკეთებული GNSS მიმღები შემსყიდველ ორგანიზაციას დაუბრუნდა.

4.5. მხარეთა შორის 2024 წლის 10 იანვარს გაფორმებული № 1 მიღება-ჩაბარების აქტით ირკვევა, რომ მიმწოდებელმა გასწია 3 685 ლარის მომსახურება, რაც ხელშეკრულების ღირებულების 48%-ს შეადგენს.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

საქმეში არსებული მტკიცებულებებისა და გარემოებების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, სააგენტო მიიჩნევს, რომ შპს „გეოინსტრუმენტი“ უნდა დარეგისტრირდეს შავ სიაში.

6. გამოყენებული სამართლებრივი აქტები

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესი და პირობები“.

7. სამართლებრივი შეფასება

7.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო შესყიდვის ნებისმიერი საშუალებით განხორციელებისას, გარდა კონსოლიდირებული ტენდერისა, პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველია, თუ მიმწოდებელმა ვერ შეასრულა ან არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. იმავდროულად, აუცილებელია, რომ ხელშეკრულების მოქმედების ვადა იყოს გასული ან ხელშეკრულება ვადაზე ადრე იყოს შეწყვეტილი.

7.2. იმავე წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქმეში არსებული გარემოების გამოკვლევის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, სააგენტო ადგენს, არსებობს თუ არა პრეტენდენტის/ მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებები, სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/ მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის შესახებ, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ არსებობს პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი, სააგენტო, ამ მუხლის შესაბამისად, იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ.

7.3. განსახილველ შემთხვევაში, ირკვევა, რომ მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა 2023 წლის 9 ნოემბრის № 2023/10/233 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. მართალია, საქმეში არსებული მასალებით დგინდება, რომ მიმწოდებელმა დააბრუნა მუშა მდგომარეობაში მყოფი 2 ერთეული GNSS მიმღები, თუმცა სახელშეკრულებო ვადების ამოწურვის გამო, მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტი არ გაფორმებულა, შესაბამისად, სააგენტო ვალდებულებების ამ ნაწილს შესრულებულად ვერ მიიჩნევს. ამდენად, არსებობს მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების წინაპირობა.

7.4. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, სააგენტო, საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებებთან ერთად, დამატებით ითვალისწინებს დარღვევის სიმძიმეს, პრეტენდენტის/მიმწოდებლის მანამდე მიღებული გაფრთხილების ან/და შავ სიაში რეგისტრაციის ფაქტ(ებ)ს.

7.5. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაციის

მიერ წარდგენილი ინფორმაცია სრულად აკმაყოფილებს ამ წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს და არ არის სახეზე შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის ან გაფრთხილების საფუძველი.

7.6. სააგენტო მიიჩნევს, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინება აკმაყოფილებს ზემოხსენებული წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ამასთან, სახეზეა მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების წინაპირობა და არ არსებობს მისი შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის ან გაფრთხილების საფუძვლები, რადგან მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები (შესრულებულ იქნა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების 48%). შესაბამისად, მოცემული დარღვევის გათვალისწინებით, შპს „გეოინსტრუმენტი“ უნდა დარეგისტრირდეს შავ სიაში.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის №19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-6 პუნქტით და დაადგინა:

1. შპს „გეოინსტრუმენტი“ (ს/ნ: 404489665) 2024 წლის 1 თებერვალს დარეგისტრირდეს შავ სიაში.

2. ამ განკარგულების აღსრულება დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ლევან რაზმაძე